ტფილისი

№ 109
მაისის 23, პარასკევი 1903 წ.
1877

ივერია

№ 109
მაისის 23, პარასკევი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ მაისიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 7 მან. 25 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ.25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას, 1 ივნისს, დილის 10 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია

საზოგადოების წევრთა წლიური საზოგადო კრება.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) წლიური ანგარიში საზოგადოების 1902 წ. მოქმედებისა.
2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა წლიური ანგირიშის შესახებ.
3) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავალისა 1903 წლისათვის.
4) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და კანდიდატისა.
5) არჩევანები საზოგადოების ახალის წევრებისა.

ბ-ნთ წევრთ **კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისას** უმორჩილესად სთხოვენ მობრძანდნენ **საზოგადოების წლიურ**

კრებაზედ

რომელიც დანიშნულია პარასკევს, 23 ამა მაისს, საღამოს 8 საათზე.

განსახილველი საგნები.

1) საზოგადოების მოქმედების ანგარიში 1902 წელს.
2) ტფილისის საბაღოსნო სკოლის მოქმედების ანგარიში 1902 წ.
3) ამორჩევა საბჭოს ერთის წევრისა.

არა წევრთაც ნება აქვთ დასწრებისა.

(2—125—2)

---

25 ამა მაისს

ბანკის ბაღში და თავად-აზნაურობის თეატრში, ქართველთა შორის წ.-კით. გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება

სეირნობა

საქველმოქმედო ბაზრითურთ.

ბაზრობა დაიწყობა შუადღის 12 საათიდგან. ბაღში დაუკრავს ორი ხორო მუსიკისა.

ბაღში იქმნება: საბავშვო გასართობი, ბედის ქვევრი, ფოსტა, სიურპრიზები.

თეატრის ფოიეში:

ცეკვა.

ბაღში შესასვლელი ბილეთი 20 კ. (ბავშვებისათვის 10 კაპ.).

კბილის ექიმი
ივანე ჰავლეს ძე
ახალშენიშვილი
ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის.
(წლ.)

ქართველ ქალთა ამხანაგობის
სამკერვალოში
მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **ბაზებს** ქალებისას და ბავშვებისას.
ბარონის ქუჩა, № 12.

ექიმი
ვ. ღამბაშიძე
იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.
ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

კერძო სამკურნალო
ექიმის მუსხელაშვილისა
(გედევანიშვილისეული)
კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.
ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.
ვ. ღ. ღამბაშიძე—ორშ., ოთხშ., და შაბათ. 10—11.
ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით 10—11 ს.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.
დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.
ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 ს.
ზრ. ვ. სოკოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.
ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.
საღამოთი:
ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ოთხშ. და შაბათი. 5—6.
ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)
მუდმივი ექიმი ზ. დ. ნასარიძე.
მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.
რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)
46—8 ტელეფონი № 617

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქროვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.
მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ძ. ი. ზძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.
ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.
საღამოობით:
ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)
ნ. ს. ლუზეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.
ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—7½ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.
ზ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.
ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნვით.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон-
(წლ.

ტფილისი

◆ დღეს, 23 მაისს, საღამოს 8 საათზედ, დანიშნულია სამეურნეო საზოგადოების წევრთა წლიური კრება, ამ საზოგადოების დარბაზში. კრება განიხილავს საზოგადოების მოქმედების ანგარიშს წარსულის წლის განმავლობაში და ტფილისის საბაღოსნო სკოლის ანგარიშს; შემდეგ უნდა აირჩიოს ერთი წევრი საზოგადოების რჩევისა. არა წევრთაც შეუძლიანთ კრებას დაესწრნენ.

◆ კვირას, 25 მაისს, ტფილისის გუბერნატორი სვეჩინი და ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლოდ კვალად არჩეული თავ. დ. ზ. მელიქიშვილი დაათვალიერებენ წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სკოლას.

◆ ტფილისის გუბერნიის შეუძლო თავად-აზნაურთა მოსწავლე შვილების დამხმარებელი საზოგადოების კრების ანგარიშში კომიტეტის ერთის წევრის მოხსენება გამოვტოვეთ იმის შესახებ, რომ საზოგადოების წინანდელ დადგენილების ძალით, თავმჯდომარედ საზოგადოებისა უნდა იყოს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი. როდესაც თავმჯდომარე ამ საზოგადოებისა თავ. კ. ი. მუხრან-ბატონი მიიცვალა, მაზოგადოების გამგე კომიტეტმა სთხოვა თავ. დ. ზ. მელიქიშვილს მიეღო თავმჯდომარეობა; მაგრამ იმან უარი განაცხადა, რადგანაც საზოგადო საქმეები სრულებით არ მაძლევენ მოცალებასაო; ამას გარდა, როგორც გუბერნიის მარშალი მე ჩემს მოვალეობადა ვსთვლი და რავდენადაც შესაძლოა ვცდილობ კიდეც, და კვალად ვეცდები ხელი შევუწყო, როგორც სათავად-აზნაურო სკოლის წარმატებას, ისე თავად-აზნაურთა შვილების კეთილ-აღზრდას, და ამისათვის სრულიად საჭირო არ არის, რომ საზოგადოების თავმჯდომარედ ვითვლებოდეო.

◆ საეკკლესიო მუზეი, რომელიც სიონის ტაძართან არის, ერთის წლის განმავლობაში 1200 კაცს დაუთვალიერებია. სტუმართაგან ხელმოსაწერ წიგნში თვისი სახელი აღუნიშნავთ მათ უმაღლესობათა დიდს მთავარს გიორგი მიხეილის ძესა და მის უავგუსტოეს მეუღლეს. ზაფხულობით მრავილი ექსკურანდი დაიარება მუზეიში. ყველას დიდის ყურადღებითა და თავაზიანად ეკიდება გამგე მუზეისა მოსე ჯანაშვილი.

◆ სახელმწიფო ქონებათა და მეურნეობის მინისტრის რწმუნებულმა მიანდო სამინისტროს სამუშაოთა უფროსს აღმასრულებელს ბ-ნ გლასკოს დაესწროს საბაღოსნო სკოლის უკანასკნელის კლასის მოსწავლეთა ეგზამენს.

◆ სავაჭროების ზედამხედველმა აღმოაჩინა, რომ სალდათის ბაზარის ყასბები იქვე თავის დუქნებში ჰკლავდნენ წვრილ საქონელს.

◆ ბაზარის ზედამხედველმა მოახსენა ქალაქის გამგობას, რომ უკანასკნელ სამ-ოთხ დღეში ყოველი სანოვაგე შესამჩნევად იაფდებაო.

◆ ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რომ გაზეთი „კავკაზი“ პირდაპირ ბრალსა სდებს ქალაქის აგენტს ნ. ალიხანოვს, ვითომ ქალაქის საყასბოების მართვა-გამგეობით ჯიბე აივსო. ეხლა ნ. ალიხანოვი, როგორც „ნოვოე ობოზრენიეში“ დაბეჭდილ წერილიდგან, სჩანს, „კავკაზის“ რედაქტორს ემუქრება სისხლის სამართლით მოგთხოვ პასუხს ცილის წამებისათვისაო.

◆ ქალაქის გამგეობა დაეთანხმა ბ-ნ როზის მიერ განცხადებულ პირობებს, ფუნიკულერის გაყვანის შესახებ, და დაადგინა საბჭოს მოხსენდეს საქმის ვითარება, რომ უკანასკნელად გადაწყდეს ეს საქმე.

◆ რადგანაც დიდუბეში ყველგან არ არის წყალი გაყვანილი, განსაზღვრული იყო წელს მილები გაეწყოთ იმ ქუჩებზედ, რომლებიც უფრო საჭიროებენ და გადადებულ იყო ამისთვის 2,000 მანეთი. სამწუხაროდ დიდუბელებს წელსაც არა ეშველებათ-რა, რადგანაც ქალაქს ფული აკლდება აუცილებელ ხარჯთა გასასტუმრებლად, და ხსენებული ორასი თუმანი სხვაფრივ უნდა მოიხმაროს.

◆ ხმოსანმა ნ. ი. თამამშევმა განუცხადა კომისიას, რომელსაც ქალაქის პირველი საყასბო აბარია, რომ მე ამ დუქნის გამგებლობას თავს ვანებებო.

◆ პირუტყვთა მფარველ საზოგადოების წლიურ კრებაზედ, 20 მაისს, სხვათა შორის, ლაპარაკი ჩამოვარდა ტფილისის ტრამვაის ცხენების აუტანელ ჯაფაზედ; ერთს ვაგონში 30 კაცზედ მეტი მგზავრი არ უნდა იყოს და ნამდვილად-კი 45-თაც მიჰყავთო. ტრამვაის გამგე იქვე ყოფილა და კრებისთვის მოუხსენებია, რომ მაგ გარემოების აცილება შეუძლებელია, რადგანაც მიხეილის ქუჩა მუშტაიდის ბაღთან იმდონად ვიწროა, რომ ვაგონებს ვერ მოვუმატებთ მგზავრთა რიცხვის შესაფერადაო. საზოგადოებამ მაინც დაადგინა, ეს ამბავი შეატყობინოს ქალაქის გამგეობას.

◆ ტფილისის გამგეობამ გაათავა გამოკვლევა თვის კანცელარიის მოხელის სტავცევის მოქმედებისა, რომელსაც ჰბრალდება ღერბის მარკებისა და ფულის ბოროტად მოხმარება. გამგეობის მოხსენება მალე საბჭოს მოხსენდება.

◆ უმაღლესად დამტკიცებულის (24 ნოემბერს 1902 წ.) სახელმწიფო რჩევის დადგენილების ძალით, დედათა გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების სალვთო სჯულის მასწავლებელთ ისეთივე უფლება ეძლევათ პენსის მიღებისა, როგორც იმავე საგნის მასწავლებელთ ვაჟების გიმნაზიაში.

◆ გაზეთი „ბაქო“ ამბობს, რომ ამიერკავკასიის რკინის გზას განზრახვა აქვს გაჰმართოს სურამში სანატორია მალიარიითა, ქარებითა და სხვა გვარ ავადმყოფთათვის. სანატორიაში 200 საწოლი იქმნება გამართულიო.

◆ მესამე მომრიგებელ სასამართლოში გუშინ, 22 მაისს, ერთი რუსის ქალი უჩიოდა ახალგაზრდა რუსსავე კაცს საზრდო აძლიოს თავის შვილს, რომელიც მისგან შეეძინაო. ბავშვი, ორისა თუ წლი-ნახევრისა, დედას ხელთ-ეჭირა. კაცმა პასუხად მოახსენა მოსამართლეს, მე უარს არ ვამბობ, რომ ეგ ბავშვი ჩემი შვილია და არც საზრდოს დავიშურებ, ხოლო მამობრივი უფლებაცა მქონდეს ნახვა-აღზრდაშიო. ქალი ეძიებოდა ერთხანად 1900 მანათს, ხოლო მოსამართლემ თვეში ერთი თუმანი მიუსაჯა.

◆ გაზ. „ნოვ. ობ.“-ეს სწერენ ქუთაისიდან, რომ ბ-ნი გრ. ვოლსკი არ დაუმტკიცებია საგუბერნიო ადმინისტრაციას ბათუმის ქალაქის გამგეობის წევრად.

ორიოდე სიტყვა ბ-ნ „ყვირილელის“ აზრთა არევ-დარევის შესახებ.

(იხ. მისი: „მამულიშვილობა, ეროვნობა თუ ხალხის სამსახური?“ „კვალი“ 6 აპრილისა და „აკაკანებული მამულიშვილები“ 20 აპრილისა).

ახალგაზრდური თავხედობა და არევ-დარევა აზრებისა,—ამ სიტყვებით უნდა დავახასიათოთ ამ ახლად მოვლენილ პუბლიცისტის ხსენებული წერილები.

„ახალ საზოგადოებრივ წყობილებას ვერ შეუდგა (თუ ვერ ამოუდგა?) მხარში ჩვენი ბურჟუაზიაო, ბრძანებს. დიდი შეცდომაა. ვინ იყო ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, რაფ. ერისთავი და ბევრი სხვა, თუ არ ბურჟუაზიულ დემოკრატიის წარმომადგენელნი?! ნუ თუ შეგიძლიანთ სთქვათ, რომ მესამოცე წლების ლიტერატურულმა და საზოგადო მოძრაობამ ვერ შეიგნო ახალ ცხოვრების მოთხოვნილება? ნუ თუ ეს მოძრაობა ეროვნულ აზრის განმტკიცების საქმეს არ ემსახურებოდა? რა იქნებოდა დღეს ჩვენი ცხოვრება, რომ „დროება“, „კრებული“ და „ივერია“ არ ყოფილიყვნენ?!

„იმ პროგრესსიულ როლს, რომელიც ევროპაში ეროვნულმა ბურჟუაზიამ შეასრულა, ჩვენში ჯერ უცხო ერის ბურჟუაზია ასრულებდა“,—ბრძანებს ავტორი. სხვისა რა მოგახსენოთ და, რომ სომხის ბურჟუაზიას ჩვენში არავითარი პროგრესსიული როლი არ ეკუთვნის, ეს ისე ცხადია, რომ ამის შესახებ სიტყვის განგრძობა მეტად მიუყვაჩნია.

„ეროვნობის ერთად-ერთი მატარებელი“ „სულ სხვა ჯგუფები“ არიანო,—ბძანებს ბ-ნი „ყვირილელი“,—„ჩვენი ახლად დაბადებულ ბურჟუაზიის შინაარსი „ნამდვილ ერის წინააღმდეგ არის მიმართულიო“. დიდი შეცდომაა. ჩვენის ერის დიდი უმრავლესობა სოფლის მცხოვრებნი არიან. სოფლის მცხოვრებნი-კი ეგრედ წოდებული „პატარა ბურჟუები“ არიან. ამგვარად ჩვენი ცხოვრება პატარა ბურჟუაზულ ნიადაგზეა დამყარებული. კარგია ეს თუ ცუდი, სხვა საკითხია, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება. და, თუ მთელ ჩვენს პატარა ბურჟუაზიას ერიდგან გამოჰრიცხავთ, რაღა დარჩება „ერად“.

დიაღ, ჩვენი ერი ჯერ ბურჟუაზულ საფუძველზეა დამყარებული. ამიტომ მისი სურვილიც ბურჟუაზიულ იდეალს ვერ ასცილდება ჯერ ხანად. ჩვენის ერის უმეტესობა იმასა სცდილობს, რომ ეკონომიურად ამაღლდეს, გაიზარდოს. გლეხი, ვაჭარი მრეწველი ყველა ამ იდეალს ემსახურება.ამისათვის საჭიროა გაძლიერება ვაჭრობა-მრეწველობისა, გაუმჯობესობა მეურნეობისა, გამრავლება სასწავლებლებისა, მოპოება თვით-მმართველობისა, და სხვა. ამ ნიადაგზე ერის ყველა ნაწილი ადვილად შეერთდება. და ეს საერთო, ანუ საერო საქმე, ცხადია, წინსვლაა და არა უკან დახევა, როგორც ჰფიქრობს ბ-ნი „ყვირილელი“.

„ახლად-დაბადებულ ბურჟუაზიის“ შინაარსი „კლასსობრივიაო“, ბრძანებს ავტორი. იმასა სურს ხალხს სისხლი გამოსწოვოსო. კლასთა შორის ბრძოლა ადამს აქეთ მომდინარეობს; მაგრამ პროგრესი ის არის,რომ უარეს ბატონობის ადგილს უფრო სუბუქი ბატონობა იჭერს, ფეოდალების მაგიერ რომ ბურჟუები გაბატონდნენ, ეს დიდ ბედნიერებად მიაჩნია მთელ განათლებულ კაცობრიობას.

ექსპლოატაცია, რასაკვირველია, ყველგან და ყველაფერშია. დღეს „ჩარჩი“ სწოვს გლეხს სისხლს, ხვალ-კი დიდი კაპიტალისტი შეიქმნება მისი ბატონი. გლეხს მეტი გზა არა აქვს, ორში ერთი ექსპლოტატორი უნდა ირჩიოს და რომელი უნდა ირჩიოს? რასაკვირველია, დიდი ბურჟუა, რადგან ამის ხელში გლეხის მდგომარეობაც ერთი ათად გაუმჯობესდება.

ამგვარად, დიდის ბურჟუაზიის ზრდა-განვითარება არა თუ ერს წინ არ აღუდგება, არამედ ერის კეთილ-დღეობას ხელს შეუწყობს. ჩვენ ყოველთვის დიდ წარმოებას ვამჯობინებთ, ვიდრე პატარა წარმოებას, რადგან საერთო სიღარიბე მხოლოდ საერთო უბედურებას გამოიწვევს, სხვას არაფერს.

დიაღ, ბ-ნო „ყვირილელო“, განვითარებული წარმოება, რომელიც მოასწავებს ბურჟუაზიის გაძლიერებას, ხსენებულ მიზეზთა გამო, მარტო ბურჟუაზიისათვის-კი არა, მთელის ერისთვის არის სასარგებლო, რადგან საერთო სიმდიდრე ექსპლოატაციის სიმკაცრეს ასუსტებს. ამ გვარად, ბურჟუაზიის ზრდა-განვითარების საქმე ერთსა და იმავე

დროს კლასსობრივიც არის და საეროც. ამიტომ, ნება არა გაქვთ, ვინც ამ საქმეს ხელს უწყობს, უწოდოთ იმას რეაქციონერი ან კონსერვატორი.

იმის დასამტკიცებლად, რომ „ივერია“ თავად-აზნაურობის მომხრეა, ბ-ნ „ყვირილელს“ „ივერიიდგან“ ერთი მეთაური წერილი მოჰყავს. ასე იმიტომ იქცევა, რომ, „ივერიასთან“ ლაპარაკი არ გაუგრძელდეს. „ძველ ნომრების საჩხრეკად არა გვცალიაო“, ბრძანებს. თქვენ რომ არ გცალოდეთ „ივერიისა“ რა ბრალია? მაშ, თუ ძველი და ახალი ნომრები არ გადაგიჩხრეკიათ „ივერიისა“, რა ნება გაქვთ ამ გაზეთის შესახებ გადაჭრილი აზრი გამოთქვათ! რა უნდა ვუწოდოთ ამ გვარ ლიტერატურულ საქციელს? ხსენებულ წერილშიაც, რასაკვირველია, არც ერთი სიტყვა არ მოიპოვება თავად-აზნაურულ უფლებათა აღდგენის შესახებ. მეთაურის ავტორი სცდილობს დაარწმუნოს თავად-აზნაურნი, რომელთაც აქვთ უფლება შუამდგომლობისა მთავრობის წინაშე, რომ საჭიროა შემოღებულ იქმნეს ჩვენში ქართულ ენაზე სწავლებაო. და ნუ თუ ქართულ ენაზე სწავლება და თავად-აზნაურულ უფლებათა აღდგენა ერთი და იგივეა? ძლიერ დიდი ქავილი ცილის წამებისა უნდა ჰქონდეს კაცს ატეხილი, რომ ასე იფიქროს. ერთი გაზვიადებული ფრაზა, „იგია (ე. ი. თავად-აზნაურობას) თვით ერი“, სრულიად არაფერს არ ამტკიცებს. საქმე ის არის, სცდილობს თუ არა „ივერია“ მოუპოვოს თავად-აზნაურობას რაიმე უპირატესობა სხვა წოდებასთან შედარებით? არა და არა! კიდევაც რომ მოიცადოთ, ბ-ნო „ყვირილელო“, და „ივერიის“ ყველა №№-ბი გადასჩხრიკოთ, ვერსად ვერ იპოვით თქვენის ცილის წამების დამამტკიცებელ საბუთს.

ბ-ნი „ყვირილელი“ დიდ ცოდვად უთვლის „ივერიას“ შემდეგს სიტყვებს: „ჩვენს დედა ქალაქს ტფილისსა, სადაც მაჯა უცემდა ჩვენს მოქალაქობრივ ცხოვრებას“.. „ბ-ნო ულეველო, გვეკითხება ბ-ნი „ყვირილელი“, იმის თქმა, რომ წინად უცემდა ტფილისში ჩვენს მოქალაქობრივ ცხოვრებას მაჯა და დღეს აღარ უცემსო, ნუ-თუ ამის თქმა თანამედროვე ცხოვრების შესახებ, რომელმაც სწორედ მოქალაქობრივ განვითარებას შეუყენა ჩვენი ხალხი,—არ მოასწავებს „ივერიისაგან“ ახალის ცხოვრების უყურადღებობას და ჯიუტად წარსულში, მარტო წარსულში ყურებას“.

მოდი და ნუ აგემღვრევა, ნუ აგიშფოთდება გული! უგუნურება და უმეცრება ერთათ შეზავებული იხატება ამ სიტყვებში. განუსაზღვრელი უმადურობაა, როდესაც წარსულში კარგს ვერრას ჰხედავთ და განგებ უნდა დაიბრმავო თვალი, რომ ჩვენმა ახლანდელმა ცხოვრებამ ასე გაგახაროს. როგორ! თამარ მეფის დროს, როდესაც ჯერ ჩვენი ვინაობა და დამოუკიდებლობა დაცული გვქონდა, ჩვენის საზოგადოების მაჯა უფრო სუსტად სცემდა, ვიდრე ახლა?! მიუტევებელი ცილისწამებაა. არა, ბ-ნო „ყვირილელო“, ის „მოქალაქობრივი მაჯის ცემა“, რომელიც ემჩნევა ჩვენს ახლანდელ ცხოვრებას, თამაშობიაა ჩვენს ძველ ინტენსივურ ცხოვრებასთან შედარებით.

ცილსა სწამებთ აკაკი წერეთელს, ვითომ იგი წარსულში ფეოდალიზმს შესტრფოდეს. არა, სრულიადაც არა. წარსულში იგი ხსენებულ ღირსს ეტრფის, ახლანდელ ცხოვრებაში-კი ჩვენს არა-მკითხე მოამბეობასა სტირის. ცილსა სწამებთ ჩვენს სხვა მოღვაწეებსაც და ლიტერატურას, რადგან, რაცა გვსურს და რასაც ვჩივით, ნათელივით ცხადია ყველასათვის, ვინც-კი განგებ თვალს არ დაიბრმავებს.

„ნახტომი ჩვენს ხალხს ამ საუკუნის განმავლობაში არ უქნიაო“, „ნახტომები საზოგადოდ შეუძლებელია ისტორიაშიო“,—ფილოსოფოსებს ბ-ნი „ყვირილელი“. ვითომ? მაშ, რა იყო საფრანგეთის დიდი რევოლიუცია, თუ არ შესანიშნავი ნახტომი? მაშ, რა იყო ბატონ-ყმობის გადავარდნა რუსეთში, თუ არ ნახტომი? რამდენი მაგალითი მოგიყვანოთ? კერძოდ საქართველომაცა ჰქმნა დიდი ნახტომი, რომლის შესახებაც ზემოდ მოგახსენეთ.

ამას გარდა, მე ხომ „ნახტომებზე“ არა მქონია ლაპარაკი. მე ვამბობდი და ვამბობ, რომ ჩვენის საზოგადო ზრდა-განვითარების საქმე საღ გარემოებაში არ იმყოფებოდა-მეთქი; რომ საზოგადო სიღარიბე და სიბეჩავე და გულგრილობა საზოგადო საქმეებისა, აი, ეს ნაყოფი გამოიღო ჩვენის ერისათვის მეცხრამეტე საუკუნემ. თქვენ თუ კმაყოფილი ხართ, ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ არა გქონიათ თვალნი ხედვად. O' sancta simplicitas! იძულებული ვართ ამ სიტყვებით დავასრულოთ თქვენთან ბაასი ბ-ნო „ყვირილელო“.

არ გეთხოვებით, იმედი გვაქვს სალაპარაკო მასალას არ გამოგვილევთ, რადგან ჩვენთვის, როგორც „ულეველისათვის“, საჭიროა კამათი თქვენებრ მყვირალა „ყვირილელებთან“.

ულეველი.

საერო მასწავლებელთა პენსია

ამ ათი-თორმეტის წლის წინად ქართულ და რუსულ გაზეთებმა გაავრცელეს ხმა, რომ სახალხო სამინისტრო სასწავლებელთა მასწავლებელთ პენსია ენიშნებათო. ყველა ულოცავდა და შეჰხაროდა სოფლის მასწავლებელს „აწ რაღა გიშავს, პენსია დაგინიშნესო“. მას შემდეგაც ბევრჯელ ალაპარაკდნენ ჟურნალ-გაზეთები, მაგრამ დღემდე არაფერი ეღირსათ საბრალო მასწავლებელთ. დღეს საერო განათლების სამინისტრომ დააწესა სასწავლებელთათვის საპენსიო კასსა, რომელმაც დაიწყო მოქმედება 1901 წლიდგან. გავაცნობ მკითხველებს კასის ყოველსავე ვითარებას:

როგორც უბნობს წესდება ამ კასისა, სავალდებულო მონაწილეებად ითვლებიან მხოლოდ იმ სასწავლებელთა მასწავლებელნი, რომელნიც იღებენ რაიმე დახმარებას ფულით ყოველ წლიურად ხაზინიდგან. ამ გვარ სკოლათა მასწავლებელთ ერიცხებათ წელიწადში ჯამაგირიდგან პირველ წელს 12 პროცენტი და მეორე წლიდგან-კი 6 პროცენტი. მაგალითად, მასწავლებელს ეძლევა 330 მანეთი წელიწადში; პირველ წელს გადახდება 37 მან. და 60 კ. მეორე წლიდგან-კი 19 მან. და 80 კ. პენსიები ეძლევათ 15 წლის შემდეგ, 20 წლის, 25 წლის30 წლის და 35 წლის შემდეგ.

ვინც იღებდა 330 მანეთს ამ ხნის განმავლობაში 15 წლის სამსახურიდგან გამოსვლის შემდეგ მიიღებს წლიურად პენსიას 45 მანეთს, 20 წლის შემდეგ—74 მანეთს 25 წლის შემდეგ—129 მანეთს, 30 წლის შემდეგ—189 მანეთს, 35 წლის შემდეგ-კი სრულ პენსიას—343 მანეთს. უმეტეს ნაწილად ჩვენს გუბერნიაში მასწავლებელნი იღებენ ჯამაგირს 300 მან; როგორც ვიანგარიშეთ წესდების საანგარიშო სქემით, ვისაც ამათგანს ექნება მიღებული მონაწილეობა კასაში, იმას 15 წლის შემდეგ დაენიშნება 40 მან. 20 წლის —70 მან. 25 წ.—120 მან. 30 წ.—180 მან., 35 წ.—320 მან.

ორ პენსიას არავის მისცემენ, არამედ მიეცემა ერთი და ისიც სამსახურიდგან გასვლის შემდეგ. ვინც დაუძლურდება ავადმყოფობით და სამსახური აღარ შეეძლება, მიეცემა გაძლიერებული პენსია, უკეთუ მონაწილეობა ჰქონდა კასაში არა ნაკლებ ხუთის წლისა. ამ გვარი პენსიები და საქვრივო პენსიაც უფრო მომეტებულია. მაგალითად, მასწავლებელი გადაიცვალა ათი წლის სამსახურის შემდეგ, მაშინ მის ქვრივს ენიშნება პენსია 59 მანეთი წელიწადში, 20 წლის სამსახურის შემდეგ კი 105 მანეთი ყოველ წელს. მასწავლებელი, კასის მონაწილე, ჯანმრთელი, თუ დაანებებს თავს სამსახურს ხუთის წლის ადრე, იმას არაფერი არ ეძლევა და არც არაფერს უბრუნებენ კასიდან. ვინც იმსახურებს ხუთ წელზედ მეტს და მერმე დასტოვებს სამსახურს, იმას დაუბრუნდება უსარგებლოდ მის მიერ კასაში შეტანილი ფული. ვინც ათის წლის შემდეგ გამოვა სამსახურიდან უმიზეზოდ, იმას დაუბრუნდება შეტანილი სარგებლით.

ეს პენსიები, როგორც მოგახსენეთ, იმ მასწავლებელთ მიეცემა, რომელთაც დამატებითი ჯამაგირი ეძლევათ ხაზინიდან, დანარჩენნი-კი, თითქმის ორი წილი სოფლის მასწავლებელთა, ისევ ღვთის ანაბარად რჩებიან; თუმცა, როგორც ამბობს წესდება, ყველას შეუძლიან მონაწილეობა მიიღოს თვისის ნებით, მაგრამ მათ უნდა გადაიხადონ მაშინ წლიურად ორჯელ მეტი, ესე იგი 6 პროცენტის მაგიერ 12 პროცენტი. ამის გამო ჯერ არც ერთს მასწავლებელს ქუთაისის გუბერნიაში არ მიუღია მონაწილეობა კასაში, მთავრობა არ ავალებს და თვითონ არც ეძებენ, არც ჰკითხულობენ, არც თხოულობენ, რა არის ამის მიზეზი? ჯერ ისა, რომ შესატანი ფული ბევრია, მერმე—სამსახურის ვადები დიდია და მესამე—პენსიებიც მცირეა.

რომელი სოფლის მასწავლებელი იმსახურებს 35 წელიწადს და ეღირსება სრულ პენსიას!?.. წარმოიდგინეთ, მკითხველო, სოფლის მასწავლებელი, ოცდა ხუთ მანეთით თვეში, ნახევრად მშიერ-მწყურვალი და შიმველ-ტიტველი, ცივი ოთახი, და ამ ვაი-ვაგლახში 35 წლის სამსახურის შემდეგ პენსია. მაგრამ ისიც ხომ ყველასთვის არ არის! მაგალითად, მასწავლებელი რამდენიმე წელიწადი მსახურებდა ისეთ სკოლაში, რომელსაც მთავრობისაგან დახმარება ეძლეოდა, შემდეგ გადაიყვანეს სხვა სკოლაში, სადაც არ არის შემწეობა, მაშინ მასწავლებლს სამსახური აღარ ეთვლება და არც პენსია ეძლევა. ასე რომ ბევრი რამ სანუგეშო არ მოიტანა ჯერ საპენსიო კასამ.

ლადო ბზვანელი

ფილოქსერა რაჭაში.

დიდად დამღონებელ ამბავს გვაუწყებს ერთ-ერთს ქართულ გაზეთში დასტამბულის თავისის წერილით ბ-ნი ჭიჭინაძე. როგორც ავტორი მოგვითხრობს, რაჭაში უკვე გაჩენილა ვაზის მომსპობი სენი—ფილოქსერა.

ამ ვაზის მომაკვდინებელის ჭლექის მოდება უეჭველ მეურნე ხალხისათვის, რომელიც ვაზის მოშენების კულტურას მისდევს, დიდი ეკონომიური უბედურებაა, მაგრამ რაჭველისათვის-კი ერთი ათად უფრო თავზარ დამცემი და დამღუპველია.

რაჭველის მეურნეობის უპირველესი დარგია მევენახეობა; უმთავრესი წყარო ფულის შემოსავლისა, რომლითაც აკმაყოფილებს ცხოვრებაში მრავალ-გვარ საჭირო მოთხოვნილებას იქაური მეურნე ხალხი, არის მხოლოდ ღვინის გაყიდვით შემოსული ფული.

რაჭველს მიწად-მოქმედებისაგან მიღებულ ნაყოფთა შორის ყველაზედ უფრო აჯილდოებს ვაზის ნაყოფი. ამის გამო რაჭველი მიწად-მოქმედი, რომელ წოდებასაც უნდა ეკუთვნოდეს, სადაც-კი ვაზი ხეირობს, თავის უმთავრეს ჯან ღონეს ალევს ვენახების ზომით გაფართოებას. უმეტეს ნაწილს თავის გარჯა-შრომისას ვენახის გაშენებას და მის კარგად მომუშავებას სწირავს.

რაჭაში ძალიან იმატა მამულების სიძვირემ. ამ დარგის მუშა რაჭველი პურისა და სიმინდის მოუსავლობას დიდად არ შეუშინდება, თუ-კი ღმერთი სწყალობს და ვენახი კარგს მოსავალს უქადის.

ღვინის ფასით დაკლებულ სურსათსაც შეივსებს და დანარჩენ აუცილებელ ვალდებულებასაც თავიდგან მოიშორებს.

რაჭაში ღვინის მოსავლის რაოდენობა უეჭველ წლობით შესამჩნევად უნდა მატულობდეს, თუ არ დავივიწყებთ იმ ფაქტს, რომ თითოეული მამულე, უეჭველ წლობით ბლომად უმატებს ახალს ვაზს და აფართოებს ზომით თავისს ზვრს. მაგრამ ღვინის მოსავალს ამცირებს, ანახევრებს ვაზის ერთგვარი სენი—მილდიუ, რომელიც კარგა ხანია, რაც მოედო საერთოდ რაჭის მამულებს.

მაგრამ აქ ცოტა რამ მაინც დაგვრჩენია სანუგეშო: ამ სენის შესაფერხებელი წამალი გამორკვეულია და მოპოვებულია, შაბიამნის და კირის სხურება ნამდვილად შველის მილდიუსაგან დაავადებულს ვაზს, თუ პატრონმა თავ-თავის დროზედ და ზომიერად უწამლა.

სულ სხვა ჯურის სენია ფილოქსერა; ეს სენი მოედება, თუ არა ვაზს, პატრონი უნდა გამოესალმოს თავისს ნაჭირნახულევს, თავისს მარჩენელ მამულებს.

ეს ისეთი მომაკვდინებელი, უკურნებელი სენია ვაზისა, როგორც ადამიანის ჭლექი.. ამ სენის დამძლევი წამალი ადამიანის მეცნიერულ კვლევა-ძიებას ჯერ ვერ აღმოუჩენია, მამასადამე, უიარაღოდ შთომილნი ვართ ამ სენთან ბრძოლაში.

ბ-ნი ჭიჭინაძე ასახელებს იმ სოფლებს, სადაც უჩენია თავი ფილოქსერას, მათ შორის მოხსენებულია ბუგეულიც,—ბუგეული მდებარეობს ძალიან ახლოს იმ სოფლებზედ, სადაც მოდის ჩინებულის ღირსების ღვინო.

რაჭაში ბევრს სოფლებში მოდის ღვინო, მაგრამ პირველ ხარისხის ღვინო მოდის მხოლოდ ორ სოფელში: ხვანჭკარასა და ტოლაში. ეს ორი სოფელი-კი ისე ახლოა ბუგეულზედ, რომ ერთი მხოლოდ მდინარე რიონი ჰყოფს შუა. მამასადამე, რაღა თქმა უნდა, ხვანჭკარასა და ტოლას, ამ საუკეთესო ღვინის მარანს განსაცდელი კარს მოსდგომია...

ცდა ბედისადმი მიმყვანი გზა არისო, ნათქვამია,—და, რასაკვირველია, რაჭველმა მემამულეებმაც არ უნდა დაიკრიფონ ხელები გულზედ, არ უნდა წარიკვეთონ სასოება. უნდა ეცადონ, რაც-კი შესაძლოა, თავიანთ მამულების საშველად.

ჩვენის აზრით, რა-კი ფილოქსერისაგან დასნეულებულის ვაზის გამოსაბრუნებელი წამალი მოპოვებული არ არის, რომელ მამულშიაც თავი იჩინა ფილოქსერამ, იმის ვაზი ერთიანად უნდა მოწიდგან ამოიღონ და დასწვან დასნეულებული.

არა გვარი მცენარეულობა, ხილი და ვენახის სამუშაო იარაღი არ უნდა გაიტანონ იმ სოფლებიდამ, სადაც ფილოქსერაა აღმოჩენილი, დანარჩენ სოფლებში. აუცილებელ საჭიროდ მიგვაჩნია აგრეთვე, ჩვენმა სამეურნეო საზოგადოებამ ამ თავითვე ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს რაჭას და, რითაც-კი შეუძლიან, დაეხმაროს იქაურ ხალხს ფილოქსერასთან ბრძოლაში.

როგორც ვიცით ერთ საუკეთესო საშვალებად, რომ ფილოქსერამ მთლად არ მოსპოს მამულები, ცნობილია ამერიკის ვაზის გაშენება და ზედ ჩვენის კარგ ღვინის მომცემ ვაზის დამყნა. მაგრამ ძნელი ამ შემთხვევაში ის არის, რომ რაჭველმა მევენახეებმა არ იციან ამერიკის ვაზის გაშენების და იმაზედ ჩვენებურის დამყნის მუშაობა. საჭიროა მეურნე ხალხმა შეისწავლოს ეს საქმე. მაგრამ ხალხს ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, სპეციალისტი მასწავლებელი სჭირდება და ამ მასწავლებლის როლს ჯეროვნად ვერასოდეს ვერ შეასრულებს სოფელში მგზავრად მოსიარულე აგრონომი. ჩვენის აზრით, მომავლისათვის საჭიროა რაჭაში იმ სოფლად, სადაც საუკეთესო ღირსების ღვინო მოდის, გაკეთდეს ამერიკის ვაზის სანერგე; და მცოდნე მეურნის მეთაურობით იქაურ მევენახე ხალხს პრაქტიკულად შეასწავლონ ამერიკის ვაზის გაშენების და იმაზედ ჩვენებურის დამყნის კულტურა. იმედია, ამ საქმეში აღმოუჩენს სრულს თანაგრძნობას და დახმარებას რაჭის ხალხს სამეურნეო საზოგადოება, მიაშველებს ამ თავითვე საქმის ჯეროვნად მცოდნე კაცებს და ამით იხსნის ეკონომიურად დაცემისაგან.

ქაიხოსრო გელოვანი.

ჩვენებური ამბები

ბათუმი. ბევრჯერ გვილაპარაკნია, რომ ბათუმში ქართული წიგნები არ მოიპოვება, ქართული წიგნის მაღაზია არ არსებობსო.

სწორედ სამარცხვინოდ უნდა ჩაითვალოს ეს გარემოება. ამოდენა ქართველობა სცხოვრობს აქ და ერთი ისეთი წიგნის მაღაზიაცკი არ არის, სადაც ყოველნაირი ქართული წიგნები მოიპოვებოდეს.

მართალია, ბათუმში რამდენიმე წიგნის მაღაზია არსებობს, მაგრამ იქ ქართულ წიგნების

ფელეტონი

ჰეინედან.

*
* *

დამჭკნარი მზისა სხივებით
ზამბახი სწუხდა, ნაღვლობდა
და თავდახრილი ოცნებით
დაღამებასა ნატრობდა.

—

მთვარე—ზამბახის არშიყი
მას სხივებს ესვრის, ალვიძებს,
იგიცა გახარებული
ღიმილით მთვარეს შეჰყურებს.

—

ჰყვავის, ეგზნება, ღაღანებს,
ცისკენ უჭირავს მას თვალი;
სურნელებას ჰფენს, თრთის, ტირის
ტრფიალებითა დამთვრალი.

*
* *

რა დამავიწყებს მე იმ დროს წარსულს,
ბედნიერებას როდესაც ვგრძნობდი;
მაშინ, ტურფავ, შენს სულსა და სხეულს
განუყოფელად მარტო მე ვფლობდი.

—

ახ, ეხლაც მინდა მყუდროებაში
მე მეკუთვნოდეს შენი სხეული,
სული-კი თუ გინდ ჩაჰფალ მიწაში,
მე თვითონაცა ბევრი მაქვს სული.

—

მე მას თანაბრად გავყოფ შუაზედ,
ნახევარს შთავბერ შენსა არსებას;
მაშინ ჩვენ ერთ სულ, ერთხორც ვიქნებით,
ვიღა შეიძლებს ჩვენს განშორებას.

ი. ბაქრაძე.

დიდი შეცდომა

(ძველ რვეულიდან)

I

დილის ცხრა საათია; მაისის მზის სხივებს ჯერ არ გამოუჩენიათ მთელი თავისი ძალა და კიდევ გრილა. ხანდახან საამური ნიავიც უბერავს და მოაქვს მახლობელ ბაღებიდან ვარდ-ყვავილთა ტკბილი სუნნელება. ყველა კმაყოფილია ამ მშვენიერ დილით; ყველა ხარობს და ნეტარებს. ხარობენ ჩიტები, რომელთ ცქრიალსა და ჭიკჭიკ-გალობას საზღვარი აღარა აქვს; ხარობენ მცენარენი, შეზურმუხტ-შემარგალიტებულნი; ხარობს მოკრიალებული ცა; ხარობს მზე, ეს პატრიარქი და მაცოცხლებელი მთელის სამყაროსი. დიაღ, მთელი ბუნება ნეტარებს ამ ჟამად! ან-კი როგორ არ უნდა ინეტაროს? ახლა ხომ გაზაფხულია, დრო ბუნების მკვდრეთით აღდგომისა, დრო მოძრაობისა და სიცოცხლისა, დრო სიყვარულისა და ნაყოფიერ შრომისა!

ნეტარებს მთელი ბუნება; მხოლოდ ვერ ნეტარებენ ქ—ის გიმნაზიის მერვე კლასის შეგირდები, რომელთაც თავი მოუყრიათ გიმნაზიის დიდს ეზოში, შეჯგუფულან ას წლოვან ჭადრის ქვეშ და ზოგნი გადაფითრებულნი, თვალებ-ჩაცვენილნი წიგნებს ჩაკირკიტებენ, ზოგნიც უსიცოცხლოდ ჩრდილში მიდი-მოდიან, თავჩაქინდრულნი, თითქო რაღაც დაკარგვიათ და ეძებენო.

მეტად საბრალონი არიან ამ დილას ეს უდროოდ დადინჯებულნი და დაბრძენებულნი ჭაბუკნი! მაგრამ რა მათი ბრალია? განა ძალა-უნებურად არ დადინჯდები და დაბრძენდები იმ საშინელ წამის წინ, როცა საუკუნოდ უნდა გადასწყდეს შენი ბედი? ამათაც ხომ ახლავე დაუძახებენ ლათინურ წერაში გამოსაცდელად, იმ ლათინურისაში, რომელიც ქვა-კუთხედია კლასსიკურ გიმნაზიისა და რომლის წყალობითაც, ვინ იცის, რამდენ უბრალო მომაკვდავს დაუმსახურებია მეცნიერის დიდი სახელი, ხოლო სამაგიეროდ რამდენ ახალგაზდას დაუკარგავს ტყუილ-უბრალოდ სასიცოცხლო ძალა, რამდენი ჭაბუკის გული გატეხილა სამუდამოდ, რამდენი მსურველი დარჩენილა სწავლა-განათლება მიუღებელი და ცხოვრებისაგან გარიყული?

ბევრი დღეები და ღამეები გაუტარებიათ საბრალოთ ლათინურ ენის გრამატიკულ ფორმებისა და სიტყვების ზეპირობაში და ახლაც მხოლოდ იმ მკვდარ ენაზედ ფიქრობენ მაშინ, როდესაც დიდებული, სადღესასწაულოდ მორთული, ბუნება სასიცოცხლოდ იწვევს ყველას. ბედნიერი ბუნება! ის ყურადღებას არც-კი აქცევს ამ ახალგაზდა მოხუცებულებს. ან-კი რა საქმე აქვს მათთან? მარტო ერთი გიმნაზიის უზარ-მაზარი და უშნო შენობა დაღვრემილა, თითქო თანაუგრძნობს თავისს გაზრდილებსო, და არ იღებს მონაწილეობას ბუნების საერთო დღესასწაულში, მაგრამ განა ის ოდესმე გამხიარულებულა? განა ზამთარ-ზაფხულ ერთნაირად არ ჩამოსტირის სახე? განა შესაძლებელია მისი ოდესმე შეცვლა და განახლება?..

II

წამი წამსა სცვლის საჩქაროდ, მხოლოდ ჩვენ შეგირდებისთვის-კი დრო თითქო შეჩერებულა. საშინელ განსაცდელის მოლოდინში თითქო გაქვავებულანო, ადგილიდან ვეღარ იძვრიან, ხმას ვეღარ იღებენ, სულთქმაც-კი უძნელდებათ. ოჰ, დაირეკოს მაინც ბარემ ზარი, რომელიც მიიწვევს მათ გამოსაცდელ დარბაზში და ან კარგად, ან ავად დასრულდეს ეს უცნაური ყოფნა—არ ყოფნა!

— აგერა, ბლესინაძე! — ძლივს დაარღვია ამ დროს ვიღამაც საშინელი დუმილი და ხელი გაიწვდინა ჭიშკრისაკენ. ყველამ იქით მიიხედა და მართლაც დაინახეს მათკენ მომავალი ბლესინაძე. მაგრამ არა; ისინი მხოლოდ მიხვდნენ რომ ბლესინაძე იყო, ნამდვილად-კი მათკენ მოაბოტებდა რაღაც მოჩვენება, პალტოში და შალში გამოხვეული, ყაბალახითა და ცხვირსახოცებით შეფუთნული, მხოლოდ ერთი გალურჯებული ცხვირი-ღა ამტკიცებდა, რომ ეს საფრთხობელა მართლა ცოცხალი ადამიანი იყო და არა უსხეულო აჩრდილი.

ძლივს მოვიდა ბლესინაძე შეგირდებთან, მისალმების ნიშნად დაუკრა თავი ყველას და დაჯდა იქვე მდგარ სკამ-ლოგინზედ. შეგირდები ისე გააკვირვა ბლესინაძის დანახვამ, რომ სრულიად გადაავიწყდათ მომავალი განსაცდელი და ყველანი გარს შემოეხვივნენ ახალმოსულ ამხანაგს.

— როგორა ხარ? ჰკითხა ერთმა.

— არა მიშავს-რა; თითქო დღეს უკეთა ვარ—მოისმა ჩურჩული.

— კაცო, თავს რად იკლავ? თუ შენ აღარ იქნები ან „მოწიფულების ატესტატი“ რაღად გინდა და ან სხვა რამე?

— მართლა, როგორ არ გაგახსენდა გუშინწინდელი ამბავი?

— ჰო და რა მოგარბენინებდა; ვერ დაეტიე შენს ლოგინზე?—დაესიენ ამხანაგები ბლესინაძეს.

— არა, დღეს მე სრულებით კარგადა ვარ, სთქვა მან.

— რა საკვირველია, დღეს კარგად იქნება; დღეს ხომ მაგისი ბენეფისია?

— აბა, ლათინურის „ეგზამენს“ როგორ დააკლდებოდა.

— არ დააკლდებოდა და ნახავს თავის სეირს—ამბობდნენ შეგირდები.

— არა, ამ წელიწადს მე ვერ დავკარგავ; რაც უნდა დამემართოს, დავიჭერ ყველა „ეგზამენს“. მოვკვდები და უნაყოფოდ არ ჩავატარებ ჩემს ამდენს შრომას... მარტო ლათინური და ბერძნული დარჩენ ხომ და ზეპირ ეგზამენებისთვის გამოვკეთდები; მანამდე კიდევ კარგა ხანია, —სთქვა ბლესინაძემ.

— რა საკვირველია, ლათინური და ბერძნული შენთვის არასფერს შეადგენენ,—უთხრა ღიმილით ერთმა ამხანაგმა.

— ჰო, ლათინურისა და ბერძნულის არ მეშინია,—უპასუხა თავ-მოწონებათ ბლესინაძემ.

— ნეტა როგორი ტემა იქნება დღეს?—დაუმატა ამან და გადახედა ამხანაგებს.

— ალბად, ადვილი—მიუგო ერთმა მერვე კლასში მეორე წელს დარჩენილმა:—რადგან შარშან ძნელი იყო და უმეტესობამ ცუდად დასწერა.

ხსენება არ არის. სადაც უნდა მიბრძანდეთ და იკითხოთ ქართული ახალი, ან ძველი წიგნი, ვერას იპოვით.

ქართული წიგნის მაღაზია და ქართული წიგნები-კი აქ მეტად საჭიროა, მით უფრო, რომ აქ, ამ უკანასკნელ დროს, ქრისტეან ქართველთ გარეშე ქართულ კითხვას თვით ქართველ მაჰმადიანებიც შეეჩვივნენ. დღეს, ბევრს ალაგას ჰნახავთ ისეთ მუსულმან ქართველ ვაჭარს, რომელიც თავისს სავაჭრო დავთარს ქართულად სწერს და აწარმოებს. ეს ამბავი მეტად სასიამოვნოა ჩვენთვის; ადრე, თუ გვიან ქართველ მაჰმადიანებში ქართული ენა წერა-კითხვა ფეხს მოიკიდებს.

დიალ, სასიამოვნოა, რომ ბათუმის ქართველ მაჰმადიანებში ქართულ წიგნების კითხვასაც აუდგამს ფეხი. აქ საქმე ახლა ხელის შეწყობაზეა მიმდგარი, წიგნების მიწოდებაზედ. დრო იყო, როცა ამათთვის მუქთადაც რომ მიგეცათ ქართული წიგნები, არ წაიკითხავდნენ. ახლა-კი გარემოება შეიცვალა, თვით იგინი მოდიან და ქართულ წიგნებს ითხოვენ, მაგრამ სად არის ქართული წიგნები?

4 მაისს, ბათუმის იარმუკაზედ, ბუკინისტის ს. ქ—ძის სავაჭროში, ერთი ქართველი მაჰმადიანი შემოვიდა და ვაჭარს ასე მიჰმართა:

ერთი კარგი, ქართული საკითხავი წიგნი ამარჩიე, კარგი აზრის იყოს.

სწორედ ასე, ამ სიტყვებით მიჰმართა. არ ვიცი, ვაჭარმა რა წიგნი აურჩია, მხოლოდ ის-კი ვიცი, რომ მაღაზიაში ქართული წიგნები ნაკლებად იყო.

საჭიროა, დიდად საჭირო, რომ ადგილობრივ მეწიგნეებმა შეჰხედონ თავიანთ ღმერთს, იზრუნონ რამე და ბათუმში კარგი მაღაზია დააარსონ ქართულის წიგნებისა.

ბათუმში ქართულ წიგნების უქონლობას და მის საჭიროებას ყოველი ქართველი ჰგრძნობს. სადაც-კი მიბრძანდებით, მაღაზიაში, ან სასტუმროში, ყველა იმას სჩივის, ბათუმში ქართული წიგნები არ იშოვებაო. გაზეთებში გამოცხადებულ რომელსამე ახალ წიგნს კაცი აქ ვერ იშოვნის, ვერ შეიძენსო. ამიტომ მსურველმა ტფილისს უნდა მიჰმართოს და ერთი ცალი წიგნიც-კი იქიდგან უნდა დაიბაროსო.

თუ აქაური მეწიგნეები არ მიაქცევენ ამას ყურადღებას და საქმეს არ მოაწყობენ, ადგილობრივ ქართველობამ მაინც უნდა იზრუნოს და უპატრონონ თავისს თავს.

—

ფოთი. ფოთში, დ. ტუღუშის სტამბაში, დღითი დღე ქართული წიგნების ბეჭდვა მატულობს. ამ უკანასკნელ დროს, ამ სტამბაში ბეჭდვა დაიწყეს ვრცელის ტომისა, რომელიც შესდგება პუბლიცისტურის წერილებისაგან და რომელიც ეკუთვნის ბ-ნ იაკ. ფანცხავას. ამ წიგნში, სხვათა შორის, იბეჭდება გარჩევა ალ. ჭავჭავაძის ლექსები. ნ. ბარათაშვილისა და სხვათა. წიგნი ვრცელი ტომია. შემოდგომამდე გამოვა. სურათებიც ექნება ჩართული.

—

ხონი. მთელს ხონში ერთი სასტუმრო არ არსებობს. არსად ოროოდე ოთახიც არ მოიპოვება, რომ იქ მგზავრი მივიდეს და ღამე გაათიოს. ერთ ალაგას ერთი მიკიტნის დუქანია და მხოლოდ აქა აქვსთ ორი ბინძური ოთახი, სადაც ძველი ტახტები სდგას და ზედ წუწიანი და კონკიანი ლოგინი აგია.

უცხოს თუ აქ მეგობარი არა ჰყავს, ან მიკიტნების დუქნებში მოუხდება გდება და ან კარში, ცის ქვეშ ღამის გათენება.

აქაურ მეწიგნეთა ორი მაღაზია წერეთლისა და კორძაიასი შეერთდენ. იმედია, რომ აქაური სტამბაც გაუკეთესდება. ხონს აქვს ხის თეატრი; ამოდენა ქალაქს ეს არ შეჰფერის. პარასკეობა აქ ძველებურად იმართება და გაცხოველებული ვაჭრობაა ხოლმე.

ზ-ია.

რუსეთი

გაზ. „Право" იუწყება: ხმა დადის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან წარმოდგენილი საკანონმდებლო პროექტი ქარხნებში მუშათა „სტაროსტების" დაწესების შესახებ სახელმწიფო საბჭოში უკვე მოწონებულ იქმნა.

— ქ. პეტერბურგში 16 მაისს ალექსანდრეს პარკში დიდძალი ხალხი იყო თავმოყრილი უფასო წარმოდგენის საყურებლად. იქვე მახლობლად ზოოლოგიური ბაღია გამართული. უეცრად გაისმა ხალხში ყვირილი: „მხეცები, ვეფხვები მორბიან და თავს უშველეთო". თავზარდაცემული ხალხი აშფოთდა და გაიქცა გასავალ კარებისაკენ. მოსამსახურენი და დარაჯები სცდილობდნენ დაემშვიდებინათ ხალხი, მაგრამ ამაოდ: იმათ ყურს არავინ უგდებდა წააქციეს ისინი და ფეხებით გათელეს. ყველა მირბოდა, ისმოდა საზარელი ყვირილი ქალებისა, რომელთაც ბავშვები ეჭირათ ხელში. მაგიდები, სკამები, ყველაფერი, რაც გზაზე დაუხვდა, წააქცია და დაამსხვრია ხალხმა, და მიაწყდა მავთულის ღობეს. ვისაც ძალღონე შესწევდა, ზედ ადიოდა და ბევრი დაშავდა ამ დროს. „სახალხო სახლ'აც" მიაწყდა დიდძალი ხალხი. აქ მოსამსახურე ქალები და დარაჯები ამშვიდებდნენ შიშისაგან თითქმის ცნობა დაკარგულს ბრბოს. მოსამსახურე ქალებმა თავგანწირულად დაიხსნეს სიკვდილისაგან რამდენიმე ბავშვი, რომელნიც ხალხს ფეხქვეშ მოექცა; სამხედრო ორკესტრის კაპელმეისტერის ბძანებით დაუკრეს მუსიკა, რამაც დამამშვიდებელი გავლენა იქონია ხალხზე. ცხენოსანი პოლიციელნი შეგროვდნენ გასავალ კარებთან და ამშვიდებდნენ ხალხს. ხალხი თან-და-თან დამშვიდდა. მძიმედ დაშავდა ერთი მამაკაცი, ოთხი ქალი და ერთი პატარა ქალი. მსუბუქად დაშავებულთა რიცხვი დიდია.

— ქ. უფიდან ატყობინებენ გაზ. „Руск. Вѣд."-ს: ქ. უფის სახელოსნო სკოლის მოწაფეები შეთანხმდნენ და მასწავლებელთაგან ნება-დაუკითხავად იდღესასწაულეს 1 მაისი, გაკვეთილები მიატოვეს და წავიდნენ ქალაქში. სამოსწავლო მთავრობის განკარგულებით, მოწაფეთ შემდეგი სასჯელი გადაუწყვიტეს: ერთი კვირის განმავლობაში მათ უჩაიოდ და უპადილოდ დასტოვებენ.

— ადგილობრივი გაზეთები იუწყებიან, რომ მრავალი უსაქმოდ დარჩენილი მუშა ბრუნდება შინ ქ. ბაქოდან, ასტრახანიდან და ცარიცინიდან. ბაქოში დამშეულ მუშებს ადგილობრივი საქველ-მოქმედო საზოგადოება შველის და გზავნის რუსეთში თავისი ხარჯით.

— გაზ. „ნოვ. ვრ."-ში დასტამბულ ცნობებიდან სჩანს, რომ 1900 წლამდის 150,000 ფინლიანდიელი გადასახლებულა და დამკვიდრებულა ამერიკაში.

უცხოეთი

ოსმალეთი. გაზ. „Inform."-ის სტამბოლელი კორესპონდენტი იუწყება,—ოსმალეთში შიშობენ, რომ სალონიკის ამბები იმპერიის სხვა ქალაქებშიც იჩენს თავსაო.

მაკედონელ რევოლიუციონერები დიდს მზადებაში არიან. მათ დიდი იმედი აქვთ ნაღმისა და სხვა ამ გვარ საშუალებათა, რადგან ოსმალეთთან ბრძოლა მხოლოდ ამ ღონის ძიებით შეიძლებაო. მეამბოხეთა რაზმების რიცხვი მეტად მცირეა ოსმალეთის ჯარებთან შედარებით და უთანასწორო ბრძოლაში, რასაკვირველია, მუდამ ოსმალებს დარჩებათ გამარჯვება; ამიტომაც უკიდურეს რევოლიუციონერთ გადაუწყვეციათ,—მივმართოთ ყუმბარებს, რადგან მხოლოდ ამ საშუალებით შეგვიძლია თავზარი დავსცეთ მკვიდრ ოსმალთა და მთავრობასაო. ევროპის საზოგადოება ვერ იქცევა სამართლიანად. როცა მაკედონელ მეყუმბარეთ ანარქისტებს ადარებსო — ამბობს ვენურ გაზეთის კორესპონდენტი. გავიხსენოთ, რომ 1896 წელს ასეთსავე საშუალებას მიჰმართეს სომხებმა,—დაეცნენ სტამბოლში ოთმანის ბანკსა და ნაღმით უპირობდნენ განადგურებას; მაგრამ ყველამ იცის, რომ ამ საქმის მოთავენი სრულიადაც არ ყოფილან ანარქისტნი: იგინი იყვნენ ოსმალეთის სიმკაცრისაგან მოთმინებიდგან გამოსულნი და სწადდათ შურის ძიება, რადგან სხვა ქომაგი არა ჰყავდათ,—თუმცა ყოველივე ევროპის სახელმწიფოთა თვალ-წინ ხდებოდაო.

საფრანგეთი, გასულ შაბათს მოხდა რამდენიმე ოლქში საკანონმდებლო არჩევნები, ყველგან მთავრობის მომხრეთ გაიმარჯვეს; სენატორთა არჩევავანების დროს ზედა-სონაში მთავრობის მომხრე რესპუბლიკანელმა სინიარმა გაიმარჯვა ნაციონალისტ ფოშარზე; ქვედა-ალპში—სოციალისტ იზოარმა; დასასრულ პალატის არჩევნებზე მონბელიარში—მთავრობის მომხრე რესპუბლიკელმა რეველმა გაიმარჯვა მელინისტ ჟანიზე.

— უკანასკნელ ცნობებით ემერსა საქმეს აგვისტოს პირველველ რიცხვებში გაარჩევენ ნაფიცი მსაჯულნიო.

დანია. ნოემბრის 15-ს (ახ. სტილ.) 40 წელი სრულდება, რაც დანიის მეფე ქრისტიანე ტახტზედ ავიდა. ეხლავე ბევრს ლაპარაკობენ ამ დღესასწაულის შესახებ, რომელსაც მრავალი გვირგვინოსანი დაესწრება. ამბობენ,—ის ხელმწიფენი და სახელმწიფოს გამგენი, რომელნიც რაიმე მიზეზის გამო ვერ დაესწრებიან ამ დღესასწაულს, ან თავიანთ ოჯახის წევრს გაგზავნიან, ან განსაკუთრებულს არა-ჩვეულებრივს დესპანსაო. გერმანიის იმპერატორმა კოპენჰაგენში ყოფნის დროს განაცხადა, უეჭველად დავესწრები საიუბილეო დღესასწაულსაო. დღესასწაულს დაესწრებიან, რასაკვირველია, ყველა შვილები და შვილიშვილები მხცოვან მეფისა, რომელიც ჯერ კიდევ მხნეთა და ჯანსაღადა ჰგრძნობს თავსა.

ჩინეთი. ინგლისის გაზეთებს ატყობინებენ პეკინიდან,—ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს ცნობები, იუნანის არეულობა საშიშს არას წარმოადგენს, ასე, რომ ადგილობრივი მთავრობაც ადვილად შესძლებს მშვიდობიანობის აღდგენასაო. ამავე აზრისაა პეკინში მყოფი საფრანგეთის საელჩოც.

პეკინიდგან იუწყებიან აგრეთვე,—ინგლისის პროექტი ჩინეთის სამხედრო საუდიეროს (კონტრობუციის) ვერცხლით გადახდის შესახებ არ შეიწყნარეს სხვა სახელმწიფოებმა, რომელთაც საფრანგეთმა მიჰმართა ამ წინადადებითაო.

ჯან-ჯი-დუნი რამდენსამე დღეს იყო პეკინში და ქვრივ დედოფალს დარბაზში ეახლა. როგორც ამბობენ, მანჯურიის საქმეებისა და სამხედრო საუდიეროს შესახებ ჰქონიათ საბჭო.

ნარკვევი

ქ. მოსკოვში წიგნების გამომცემელმა ამხანაგობამ „Посредникъ"-მა გამოსცა სახელგანთქმული ამერიკელ ფილოსოფოსის და მეტყველის ჰენრი თოროს ნაწერები, სადაც, სხვათა შორის, ერთი ჩვენთვის მეტად საგულისხმიერო აზრი ამოვიკითხეთ:

ჩვენი საზოგადოება უსიცოცხლო და სულიერად ფრთა-შეკვეცილია: იგი მოგვაგონებს იმ გველებს, რომელნიც მე გაზაფხულზედ ვნახე ტყეში: მთელი მათი სხეული გაშეშებული და რბილი სწილებისაგან იყო შემდგარი, ასე, რომ მათ ადგილიდგან დაძვრა არ შეეძლოთ. ჩვენი მოყვასნი თითქმის მთლად ჩაფლულნი არიან ჩვეულების სამარეში და ზოგიერთ მათგანს მხოლოდ თავის კისერი აქვს დედამიწაში გამოყოფილი. ამისთანა მდგომარეობას ხომ ფიზიკური სიკვდილი სჯობია, რადგან მკვდარი ადამიანის სხეული უფრო მალე იხრწნება. ზნეობრივი სიწმინდეც ჰკარგავს თავისს ღირსებას, როცა იგი უძრავია. ადამიანის ცხოვრება ამ წყაროს უნდა ჰგავდეს, რომელიც ჩემ თვალ-წინ მიმდინარეობს: ერთ და იმავე კალაპოტში სულ ახალ-ახალი ტალღები სცვლიან ერთმანერთს.

—

„Церковный Вѣстникъ"-ში ვკითხულობთ:

„პეტრე დიდმა საერო განათლების საქმე, საზოგადო ქველმოქმედება და სხვ. მიანდო თავის სასულიერო ამხანაგობას. შემდეგ-კი საერო განათლების საქმე დამოუკიდებელ უწყებამ გადაიღო. გამრავლდა სხვა-და-სხვა უწყებები და დაწესებულებანი. ეკლესიის გავლენა თან-და-თან სუსტდებოდა; მას მაინიჭეს მხოლოდ წირვა-ლოცვის უფლება და სასულიერო წოდებაზე ზრუნვა, ის თან-და-თან საერო დაწესებულებას უახლოვდებოდა და ავტორიტეტი თან-და-თან ეკარგებოდა. რა თქმა უნდა, ამით ეკლესიას არ შეუწყვეტია არსებობა. ის მუდამ ადამიანთა მხსნელი იყო და არავითარ გარეშე გავლენას არ შეეძლო შეერყია მისი აზრი და დანიშნულება. მაგრამ ცუდი ის არის, რომ ეკლესიის ღვთიურ დანიშნულებას ურწმუნოება მოიცავდა ხოლმე, მისი ძლიერი ხმა, რომლითაც ასე ამაყობს მორწმუნე, სახელმწიფოდან განიდევნა. თვით ეკლესიის შინაურ საქმეებშიაც ბიუროკრატიული წესობილება განმტკიცდა. ყველა ამას არ შეეძლო ცუდად არ ემოქმედნა სახელმწიფოს ორგანიზმზე, ვინაიდგან აღზრდილი იყო სარწმუნოებისა და ეკლესიის გავლენის ქვეშ.

„მაგრამ ჩვენ არ უნდა დავეცეთ სულით, საქმის ასეთმა მიმდინარეობამ არ უნდა შეარყიოს ჩვენი რწმენა. გვახსოვდეს, რომ ღვთის მორწმუნეთათვის არც არის ისტორიაში შემთხვევითი არაფერი: არც ერთი ცვლილება და შემთხვევა არ არის, რომელიც კეთილისაკენ არ მიისწრაფებოდეს. ალბად ღვთის განგებით უსათუოდ უნდა შერყეულიყო ძველი დახავსებული რუსეთი, უნდა დანგრეულიყო ჩვენი ეროვნული თავმომწონეობა, რომელიც პირდაპირ ზიზღს უცხადებდა ყველაფერს უცხოეთისას. ასეთ ატმოსფერაში შემდეგში რუსეთს უსათუოდ სული ამოხდებოდა და აღიფხვრებოდა პირისაგან ამიერ ქვეყნისა. ძნელი და მეტად მწვავე იყო ეს შერყევა, მაგრამ, ღვთის მადლით, გადავიტანეთ და ახლა საქმე კარგადაა, ცხოვრების მიმდინარეობა ჩადგა თავის კალაპოტში..

ნარევი და ნაკვესი

ქონდრის კაცი (ჯუჯა)

ბერძნის უძველესი მწერლები ჰომეროსი, არისტოტელი და ჰეროდოტი გადმოგვცემენ, რომ იმათ დროს აფრიკაში სცხოვრობდა მთელი ტომი ქონდრის კაცებისა, გარდა ამისა, ინდოეთში უძველეს დროს იყო ხალხი, რომელიც ორ მწყრთას არ სცილდებოდა სიმაღლით.

რომაელი მწერალი პლინიუსი მოგვითხრობს, რომ იულიუს იმპერატორს, ავგუსტოს დისწულს ჰყავდა ქონდრის კაცი 602 მილიმეტრის სიმაღლისა. (13 ვერშოკი).

წინა საუკუნოებში ყოველ მეფის და წარჩინებულ კაცის სასახლეში უსათუოდ მოიპოვებოდა ერთიორი ქონდრის კაცი, რომელსაც ისე უყურებდნენ, როგორც რომელსამე უცხო და იშვიათ პირუტყვს. ქონდრის კაცი ამშვენებდა დიდის კაცის სასახლეს და ართობდა მის უსაქმურ კარის-კაცებს.

ოცის წლის ქონდრის კაცი ხაჭაპურში ჩამალული მიართვეს პრინცესა ჰენრიეტას.

იმპერატორმა პეტრე დიდმა დიდის ამბით გადიხადა ქორწილი ქონდრის კაცის ექვთიმე ვოლკოვისა, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ 72 ქონდრის კაცი. ვახშამზედ პეტრე დიდმა თავის ხელით გასჭრა ორი დიდი ხაჭაპური, თვითოეულიდგან გადმოხტა მორთული ქონდრის ქალი და ორივემ სუფრაზედ დაიწყეს ცეკვა.

ჩვენს დროშიაც დაჰყავთ ქონდრის კაცები სხვა-და-სხვა ქალაქებში და აჩვენებენ ფულით საზოგადოებას, ასე რომ ვერც ჩვენ შეგვიგნია შესაფერის პატივით მოვეპყრათ ამ ბუნებით დასჯილ არსებათ.

ქონდრის კაცს ეძახიან ისეთ ადამიანს, რომლის სიმაღლე ერთ მეტრზედ ნაკლებია (მეტრი უდრის $22\frac{1}{2}$ ვერშ.).

საშუალო სიმაღლე მამა-კაცისა უდრის 170 სანტ. ($40\frac{1}{2}$ ვერშ.), ხოლო საშუალო სიმაღლე დედა-კაცისა-კი (60 ს.—38 ვერშ.).

ქონდრის კაცი, რომელსაც ვირჩი იხსენიებს

— ძნელი-კი არა! როგორ შეიძლება კურსის გათავების დროს იმაზე უფრო ადვილი ტემა მისცენ შეგირდებს, ვინემ შარშან იყო? ეს რას ემგვანებოდა?—წარმოსთქვა მღელვარებით ბლესინაძემ.

ძინ, ძინ, ძინ, ძინ, მოისმა ამ დროს ზარის ხმა და ჟივილ-ხივილით გამოსცვივდნენ კლასებიდან უნცროსი კლასის შეგირდები მაშინ, როდესაც მერვე კლასიანებმა ისევ ჩამოჰყარეს ყურები და ზლაზვნით გაემართნენ გამოსაცდელ დარბაზისაკენ. მარტო ერთი ბლესინაძე გაიმართა წელში და, სიმხნე მომატებული, გაჰყვა ამხანაგებს. ის ჰგავდა გამოცდილ მსახიობს, რომელიც უდარდელად მიდის სცენაზედ კარგად შესწავლილ როლის წარმოსადგენად.

III.

ბლესინაძე გადმოვიდა ქ—ის გიმნაზიაში თ—ის სემინარიიდგან; ძლივს დაიჭირა მეექვსე კლასის ეგზამენი და მიღებულ იქმნა ამ კლასში. გიმნაზიაში შესვლისთანავე მიიქცია ყურადღება, როგორც მასწავლებლების, ისე ამხანაგებისა; მასწავლებლებს მოსწონდათ მისი მუყაითობა და ბეჯითობა, ამხანაგებს-კი აკვირვებდა მისი ზეპირობის ნიჭი, ან „ზუბრიაკობა", როგორც ისინი ამბობდნენ.

ბლესინაძე არ დაკმაყოფილდა მით, რომ გიმნაზიაში შევიდა; მას განიზრახა, მედალით გაეთავებინა იგი, რომ უნივერსიტეტში სტიპენდია მიეღო: განიზრახა, ეჯობნა ყველა ამხანაგებისათვის და პირველი შეგირდი ყოფილიყო. მიაღწია კიდეც საწადელს: ლათინურსა და ბერძნულში დიდიხანია სწორ-უპოვარის სახელი დაიმსახურა მთელს გიმნაზიაში. ხოლო კლასიკურ გიმნაზიის შეგირდისთვის სხვა რაღაა საჭირო?

ასე გავიდა ორი წელიწადი და ბლესინაძეც 188... წელს გადავიდა მერვე კლასში, როგორც პირველი შეგირდი. სხვა უიმისო, რასაკვირველია დაკმაყოფილდებოდა ამით და მთელს ზაფხულს თავისუფლად გაატარებდა; ხოლო ბლესინაძე რის ბლესინაძე იქნებოდა, რომ ასე მოქცეულიყო? არა, მან გადასწყვიტა, თვით თავის ლათინურ დ ბერძნულ ენების მასწავლებლებისთვის გადაეჭარბებინა; ამ მიზნით, არამც თუ ის წიგნები შეიძინა, რომელთაც გიმნაზიაში სწავლობენ, თავი მოუყარა თითქმის ყველა კლასიკებს, ჰომიროსიდან და ვერგილიუსიდან დაწყებული მეორე ხარისხოვან მწერლებამდე და შეუდგა მათს შესწავლას. რასაკვირველია, რომ კარგი რამ არის დედანში ჰომიროსის, ვერგილიუსის და სხვების კითხვა. მაგრამ ბლესინაძემ ესეც აღარ იკმარა. მოსძებნა რამდენიმე ლათინურ და ბერძნულ ენებზე გადასათარგმნი სტატიების კრებული და დაიწყო მათი თარგმნა. ამნაირად მთელი ზაფხული საშინელს შრომაში გაატარა ბლესინაძემ და მართალია, ლათინური და ბერძნული ისე შეისწავლა, რომ შეეძლო თავისს მასწავლებლებისთვის მეტოქება გაეწია, მაგრამ სამაგიეროდ ჯანღონეც ზედ შეალია ამ ცდას.

გათავდა ზაფხული და გიმნაზიაში ბლესინაძის მაგივრად რაღაც ლანდი-ღა დაბრუნდა. მართალია, მასწავლებლების აღტაცებას საზღვარი აღარ ჰქონდა, როცა ნახეს, რომ ბლესინაძეს გაუჭირვებლად შეეძლო არამც თუ წერა ლათინურ-ბერძნულ ენებზე, არამედ თითქმის ლაპარაკიც და ეუბნებოდნენ დანარჩენ შეგირდებს: „აი, ნამდვილი კლასსიკი, რომელსაც უნდა მიბაძოთ და იმეცადინოთ და არა უშრომლად ცდილობდეთ „ატესტატის" მიღებასაო, მაგრამ არავისთვის ბლესინაძე მისაბაძავ მაგალითს არ შეადგენდა; პირიქით, ყველა დასცინოდა ამ ჩონჩხად ქცეულ ახალგაზდას, რომელიც კვლავ თავს აკლავდა ლათინურ-ბერძნულ წიგნებს.

გავიდა სექტემბერი და ბლესინაძემაც დაიწყო ავადმყოფობა; ზამთარში სულ ლოგინად ჩავარდა და მხოლოდ „ეგზამენებისთვის" ადგა. გუშინწინ რუსულის „ეგზამენის" დროს კიდამ გული შეუწუხდა და ძლივს მიიყვანეს ბინაზე; არავის არ ეგონა, რომ დღეს გამოვიდოდა ეგზამენის დასაჭერად.

IV

შუა დღემ მოატანა და საშინლად ჩამოცხა. უჰ, რა საშინელებაა, იჯდე ახლა კარჩაკეტილ ოთახში და იგონებდე რომელსამე ლათინურ სიტყვას, რომელიც, თითქო შენს სიცოცხლეში არ გაგიგონია, და ყურებში-კი ჩაგძახიან: „სწორედ, სწორედ, თითქმის ყველა სიტყვები გითხრეს და მეტი რაღა გინდათ?" ალბად, ცუდს მდგომარეობაში არიან ჩვენი შეგირდები, რომ ჯერ არავინ გამოსულა!

ჩუ, მოისმა სიცილის ხმა და კარში გამოვიდა რამდენიმე ახალგაზრდა. ყველა მხიარულია.

— კაცო, რა ადვილი ტექსტი იყო? ამბობს ერთი სიცილით.

— ჰო, და, მგონი ერთი შეცდომაც არ მომსვლია,—ეუბნება მეორე.

— ჩინებულად ვისარგებლე შენგან გადმოგდებული თარგმანით, რომელმაც სწორედ რომ სულზე მომისწრო, თორემ ცუდად იყო ჩემი საქმე! ხომ კარგი თარგმანია? ეკითხება ერთი შეგირდი მეორეს.

— ხუთზეა, ბიჭო, ხუთზე, უპასუხებს—ეს.

— მაშ, ვქეიფობთ, ყმაწვილებო! ვის უნდა კაი ცივი ღვინო და მოხრაკული სულგუნი? წავიდეთ მიხაკას დუქანში! ყვირის გახარებული ის, რომელმაც ჩინებულად ისარგებლა სხვისი თარგმანით.

— წავიდეთ, წავიდეთ ყვირიან სხვებიც. ამ დროს დარბაზიდან გამოდის კიდევ რამდენიმე შეგირდი; მათ შორის არის ბლესინაძეც, რომელიც საშინლად აღელვებულია და ძლივს ამბობს რაღაცას; ყველა დადუმდა და მოისმა ბლესინაძის სუსტი ხმა.

— თფუ, თფუ! აფურთხებდა ბლესინაძე და ამბობდა: ამისთვის მოვიკალ თავი? ამისთვის გავიფუჭე ამდენი სისხლი? ამისთვის... ძლიერმა ხველამ გააწყვეტინა ლაპარაკი, მთელი სხეული უკანკალებდა ციებიანივით, და რომ არ წაქცეულიყო, კედელს მიეყუდა.

— რა ამბავია? გული რაზე მიგდის? ჰკითხა ბოლოს ვიღაცამ.

— როგორ თუ რა ამბავია? განა ამისთანა ადვილი საწერი გაგონილა გიმნაზიის გასათავებელ ეგზამენზე? დღეს ხომ ყველა კარგად დასწერდა, თვით უკანასკნელი შეგირდიც-კი? არა, ეს სკან...—და ძლიერმა ხველამ ისევ შეაწყვეტინა ლაპარაკი.

— ბიჭო და მერე შენ რა გენაღვლება? შენ ხომ მიიღებ შენს „ხუთს" და მეტი რა გინდა? უთხრა ერთმა ბლესინაძეს.

— „ხუთს"-ს!? რა თავში ვიხლი იმისთანა „ხუთს", როცა თითქმის ნახევარ კლასს ექმნებათ „ხუთები"? რა განსხვავება უნდა იყოს ჩემსა და იმის შუა, ვისაც არაფერი გაუკეთებია და ლათინურად ნახევარი წიგნიც-კი არ წაუკითხავს? — ისევ ხველა. ყველანი გაოცებულნი შეჰყურებენ.

— რაღად მინდა ახლა მე ჩემი ცოდნა? რაღა მოხელეა ჩემი...—კვლავ დაიწყო ბლესინაძემ, მაგრამ საჩქაროდ შესწყვიტა, რადგან შეჯგუფულ შეგირდებისკენ წამოვიდა ერთი მასწავლებელთაგანი. შეგირდებმა გზა მისცეს და მასწავლებელიც მივიდა ბლესინაძესთან.

— თქვენ ერთი დიდი შეცდომა მოგსვლიათ! ეს როგორ მოგიხდათ? უთხრა წყნარის ხმით მასწავლებელმა; ბლესინაძე გაშრა. გაფითრდა.

— მაგრამ არაფერია; „ხუთს" როგორც იქმნება, მიიღებთ მაინც,—დაუმატა მასწავლებელმა ჩურჩულით და წავიდა.

— როგორ. მე მომსვლია დიდი შეცდომა?.. ეს-ღა მაკლდა!..—წამოიძახა საშინელის ხმით ბლესინაძემ, აუტყდა საშინელი ხველა და სისხლმაც თქრიალით გადმოხეთქა პირიდგან.

—

შემდეგ ეგზამენებს ბლესინაძე აღარ დასწრებია. უკანასკნელმა შემთხვევამ სრულიად მოუღო ბოლო და უნივერსიტეტის ნაცვლად ცივ სამარისაკენ გაისტუმრა!..

დუტუ მეგრელი.

თავისს თხზულებაში, 43 სანტ. სიმაღლისა იყო (9-ნახევარი ვერშოკი); კეტლეს მიერ აღწერილიკი 43,3 სანტ. სიმაღლისა იყო.

უფროს ერთ შემთხვევაში ქონდრის კაცის დედმამა, ძმები და დები შუა ტანისანი არიან ხოლმე. როდესაც რომელსამე ქონდრის კაცს შეურთავს ჩვეულებრივის აგებულების დედაკაცი, შვილები ზოგი ჩვეულებრივის აგებულებისა ჰყოლია, ზოგი-კი ჯუჯები.

ქონდრის კაცს ლეპორატის, რომელსაც ჯანსაღი დედაკაცი ჰყავდა ცოლად, ეყოლა ექვსი შვილი, რომელთა შორისაც მხოლოდ ერთი ქალი ჰყავდა ჩვეულებრივის აგებულებისა, სხვები-კი ჯუჯები იყვნენ.

თუ რომ დედაც და მამაც ჯუჯები არიან, ძლიერ ხშირად უშვილონი გამოდგებიან ხოლმე; ან და, თუ ქონდრის დედაკაცი ორსულდ შეიქმნა, მუცელს გადაჰყვება.

უწინდელს დროში ბევრს სცდილობდნენ ქორწინებით როგორმე გაემრავლებინათ ქონდრის კაცები, რადგან, როგორც ზემოდ ვსთქვით, ქონდრის კაცებს დიდი ფასი ჰქონდათ მაშინ, მაგრამ ამაოდ.

ერთ-ერთ თავისს მოთხრობაში მშვენივრად აქვს აწერილი დესკოფს ჯუჯა და-ძმა. ეს ქონდრის მამაკაცი და დედაკაცი სრული საკუთრება იყო ერთი ძლიერ მდიდარ რუსის აზნაურიშვილის ქვრივისა, რომელიც სულ იმის ცდაში იყო, რომ როგორმე შესაფერი ცოლი ეშოვნა თავის ქონდრის კაცისათვის. ბოლოს მოსძებნა ამისთანა დედაკაცი. ეს დედაკაცი ეკუთვნოდა ერთ მდიდარ ქალს; დაუწყო ვაჭრობა, მაგრამ, თუმცა დიდი ფული შეაძლია, ვერას გახდა.

ზოგი ქონდრის კაცი დაბადებითვე განირჩევა საღ ბავშვისაგან თავის სიმსუბუქით და მცირე აგებულობით. ერთი ქონდრის კაცი „გენერალი მიტე“ ახლად-დაბადებული ორი გირვანქა იყო სიმძიმით, ხოლო „მისს მილლი“ გირვანქა-ნახევარი.

ზოგი ქონდრის კაცი დაბადებისას ჯან-საღ ბავშვს ჰგავს, მხოლოდ შემდეგ შეჩერებულა მისი ზრდა. გარდა ქონდრის კაცებისა, ძლიერ პატარა ტანისანი არიან კრეტინები, იდიოტები, მიკროცეფალები, რახიტის (ინგლისური ავად-მყოფობა) გავლენით ბავშვს უმოკლდება და უსწორმასწორო უხდება ფეხების ძვლები.

ქონდრის კაცობის მიზეზი-კი სულ სხვაა. მეცნიერთა აზრით, ამ მოვლენას ხელს უნდა უწყობდეს ზოგიერთი ცუდი გარემოება მაშინ, როდესაც ბავშვი ჯერ კიდევ დედის მუცელშია. დარესტმა დასვა კრუხი ისეთ ადგილას, სადაც ჩვეულებრივზედ უფრო მეტი სითბო იყო; ამ კვერცხებიდგან გამოიჩეკა ერთი ნამცეცა წიწილები.

დიდს მნიშვნელობას აძლევენ ახალ დაბადებულ ბავშვის გამოკვებას.

თუ რომ ლეკვს არაყი ასვით, შეიძლება მისი ზრდა შეჩერდეს.

წინად, როდესაც ქონდრის კაცებს დიდი ფასი ჰქონდათ, იპარავდნენ ბავშვებს და არაყს ასმევდნენ.

ნამდვილი ქონდრის კაცი სწორე აგებულებისაა, სხეულის ყველა ნაწილები თანაბარად აქვს განვითარებული, მხოლოდ თავი უფრო მეტად მოზრდილი აქვს და ხელები-კი ცოტა მოკლე.

არის ისეთი ქონდრის კაციც, რომელსაც მხოლოდ ფეხები აქვს მოკლე, თავი და ტანი-კი ჩვეულებრივის სიგრძისა.

ქუთათურებს ეხლაც ახსოვთ „დავითა ურია“, რომელიც ეკუთვნოდა ამ მეორე ტიპს.

„დავითა ურიას“ ჰყავდა რამდენიმე შვილი, ყველანი ჩვეულებრივის აგებულებისანი იყვნენ.

ქონდრის კაცს სახე უფროსთ ერთ შემთხვევაში დანაოჭებული აქვს ბებერივით, უწვერ-ულვაშოა, ხმა ბავშვისა აქვს.

სქესებრივი მისწრაფებანი მცირედ აქვს განვითარებული, ხასიათით დაღვრემილია, ძლიერ ადვილად და უბრალოზედ იცის გაბრაზება, სიცოცხლით ხან-მოკლენი არიან.

ქონდრის კაცი ძლიერ ბევრსა სჭამს შედარებით და შედარებითვე უფრო მეტს მასაზრდოებელ ნივთიერებათს ითვისებს, ვიდრე ჩვეულებრივის აგებულების ადამიანი.

ექიმი ბადრიძე.

შემოწირულება

ყაზიბეგის ქალთა სკოლის გამგეობამ მიიღო მარიამ ქრისტეფორეს ასულ უგრეხელიძისაგან ბაქოში მოგროვილი 26 მ. 80 კ. ყაზბეგის სკოლის შესაწევრათ. გამგეობა გულითად მადლობას უძღვნის მარიამ უგრეხელიძეს და ყველა იმ ბაქოელ შემომწირველთ, რომელთაც არ დაიშურეს კეთილი საქმის შემწეობისათვის თავიანთი წვლილი.

„ივერიის“ ფოსტა

ყულევს. ბ—ნს ვ. ი. გ—ს. თქვენი „ორი წერილი ერთის სათაურით“ არ დაიბეჭდება.

ქუთაისს. ბ—ნს დ. ყ—ს. თქვენი „ქუთათური კენკაობა“ არ დაიბეჭდება.

ოზურგეთს. ნ. ა—ს. თქვენი „წერილი გურიიდან“ არ დაიბეჭდება.

ძ—სს. ნოქარ არხიპოს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

21 მაისი

ალექსანდროვსკი. საბჭომ გადასწყვიტა დაარსოს პრაქტიკული სკოლა საკულინარო და საოჯახო ხელობისა. მოიწონეს ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკის წესდების პროექტი.

რიგა. დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ლიბავას გაემგზავრა.

მინსკი. ჩრდილო-დასავლეთის კუთხის მიწადმფლობლებმა გრძელ ვადიანი კრედიტის პირობების გასაუმჯობესებლად გარდასწყვიტეს დაარსონ ამავე გუბერნიებში საადგილ-მამულო ბანკი.

სტამბოლი. უფროს ინსპექტორის მოხსენების ძალით პორტამ წერილობით აცნობა რუსეთისა და ავსტრო-უნგრეთის ელჩებს ბულგარელ მასწავლებელთა გვარი, რომლებიც, როგორც ფაქტები ამტკიცებს, რევოლუციონურს კომიტეტების მომხრენი არიან. პორტამ აცნობა ეგზარხატს, ასეთი პირები შემდეგში არავითარ თანამდებობაზე არ უნდა მიიღოს.

ლიბავა. მობრძანდა დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე.

სტამბოლი. პორტა აცხადებს: 400-მდე დაჭერილი ბოლგარელი სოლონიკაში განთავისუფლებულია. დახარჩენი 26, რომელსაც დანაშაულობა მიუძღვის, ჯერ ისევ ციხეში არიან.

ბენიუნიში. არაბები ცდილობენ სარწმუნოებრივი ბრძოლა გამოუცხადონ ფრანგებს.

ბერლინი. გერმანულ ებრაელების დამხმარე საზოგადოებას 345,000 მარკა შეუგროვებია კიშინევის ებრაელთა სასარგებლოდ.

ნიუ-იორკი. კანზასის შტატში 15—25 მილიონი დოლლარი ზარალია წყალდიდობისაგან.

სტამბოლი. უნიფიკაციის პროექტი დაამტკიცა ხონთქარმა.

პეტერბურგი. 21 მაისს ხელმწიფე იმპერატრიცის მარიამ თეოდორეს ასულის, ხელმწიფე მემკვიდრის და დიდი მთავრინის ოლღა ალექსანდრეს ასულის თანადასწრებით იდღესასწაულეს გატჩინის ობოლთა ინსტიტუტის ასი წლის თავი.

22 მაისი

პეტერბურგი. კანონთა კრებულში დაბეჭდილია: აკრძალულია დროებით ებრაელთა სახელით და ებრაელთა სასარგებლოდ ყოველნაირ ნასყიდობის ქაღალდების შედგენა იმ გუბერნიებში, სადაც ებრაელთა ბინადრობა აკრძალულია. შეცვლილია აგრეთვე 1882 წელს გამოცემული დროებითი წესები, რომელნიც შეეხებიან ებრაელთა ბინადრობას ქალაქებისა და დაბების გარეშე.

ვლადივოსტოკი. გაიმართა აქტი; აღმოსავლეთის ინსტიტუტში, რომელსაც სამხედრო მინისტრი დაესწრო. 10 მოწაფემ დაასრულა კურსი. ატესტატები მათ მინისტრმა დაურიგა.

მოსკოვი. მალე მოხდება ბანკების წარმომადგენელთა, ბირჟის საზოგადოებისა და პურის ბაჟის თათბირი, ვადა-შეუსრულებელ კუპონებისა და სარგებლიან ქაღალდების გაუქმების შესახებ.

პიატიგორსკი. ესენტუკში გაიხსნა საზოგადოება კავკავის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის მოხელეთათვის, რომელნიც მადნის წყლებზე არიან სამკურნალოდ.

პეტერბურგი. პეტერბურგის იუბილეი დასრულდა ბავშვების დიდი დღესასწაულით ქ. პეტერგოფში; 10-ს, 20-ს და 21 მაისს პეტერბურგის ქალაქის სკოლების მოწაფეები, რიცხვით 6,000 კაცზე მეტი, ყოველ დღე მოდიოდნენ გემებით პეტერგოფში, მიდიოდნენ მუსიკით პეტრე დიდის ძეგლთან და შემდეგ—კადეტთა ბანაკში, სადაც მათთვის ჩაი და საუზმე იყო გამართული.

სტამბოლი. გაზ. „იკდამმა“ უძღვნა წერილი ახალ ბულგარელ კაბინეტს, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ შედგენილი, რადგან კაბინეტს სურს განამტკიცოს კეთილი განწყობილება.

იაკოგამა. პერემის პალატამ მოიწონა ყველა მთავრობისაგან წარმოდგენილი საფინანსო ზომები.

პეტერბურგი. 19 მაისს ულიანებმა მიართვეს მათ უფროსად ნამყოფ პრინც ნაპოლეონს სასმისი ძველი რუსული სტილით ნაკეთი. ხელმწიფე იმპერატრიცამ დაურიგა თავის ულანებს, უფროს ოფიცრებს ვერცხლის მედლები თავის სურათით.

პეტერბურგის ბირჟა, 20 მაისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,90
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	37,35
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	5—$6^{1}/_{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	$98^{1}/_{2}$ მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	$100^{7}/_{8}$ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	$95^{1}/_{8}$ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$433^{1}/_{2}$ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	333 წვ. გაყ.
გირ %ფავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	$286^{1}/_{2}$ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	92 გაყ.
$4^{1}/_{2}$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9350 წვ. გაყ.
აქციები ,, ,, ,, ,,	460 წვ გაყ
,, კასპიის ამხანაგობისა.	3350 გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	383 წვ. გაყ
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	175 გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს; 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № $74/_{75}$ ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № $90/_{91}$ შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № $7/_{8}$ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № $9/_{10}$ დილის 6 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 21 წ. 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ.

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 4 ს. 40 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ.; 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 01 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.

ბათუმისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

სასამართლოს შესახები ცნობანი.

24 მაისისათვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად:

1. ფედოთ ლაკტიონოვისა და კოსტანტინე ხიზანოვის საქმე.
2. ნიკოლოზ ბარქაიას ამიერ კავკასიის რკინის გზის მმართველობასა და აზოვის სავაჭრო და ნაოსნობის საქმე.
3. ვლადიმერ ხუნდაძისა და არტემ ოქოევის საქმე.
4. ნიკოლოზ ბრეგაძისა და პავლე ვახიძის საქმე.
5. თ-დ დიმიტრი წერეთელისა და თ-დ კოსტანტინე წერეთელის საქმე.
6. ნარიმან ვარდასანიძისა და ნესტორ და გრიგოლ პანჩულიძეთა საქმე.
7. თ. იასონ ფავლენოვის, ეგნატე ციცა, სოსე და სადო ლამბაშიძეთა და თ-დ კოსტანტინე ხიდირბეგოვის საქმე.
8. ილია სანიძისა და გიორგი აივაზოვის საქმე.

31 მაისს.

1. მამედ ეფენდი მჟავანაძისა და იაკოფ ბარსკის საქმე.
2. იოსებ ზაუტაშვილისა და დიმიტრი ტლაშაძის საქმე.
3. თ-დ მიხეილ ჩოლოყაევისა და ვლადიმერ ჟუკოვსკის საქმე.
4. საქულ ქირუმოვის, სვიმონ ღლიღვაშვილისა და ილია ოტაშვილის საქმე.

განცხადება

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

დაიკარგა

ხუთშაბათს, 22 მაისს დილის 6 საათზედ,

ტირაჟში გამოსული

სახელმწიფო სათავ. აზ. ბანკის მომგებიანი ბილეთი №$1083^{6}/_{9}$.

ვინც იპოვის, ვთხოვთ წარმოადგინოს საპიორის ქუჩაზე, ალექსანდროვის სახლში № 6 ელენე წვერიძესთან და მიიღებს ღირსეულს ჯილდოს.

(2—127—1)

იძლევა ქირით

სახლები

ზემო სართულში 4 ოთახი სამზარეულოთი, საკუჭნაოთი და 3 ბალკონით. შუა სართულში 3 ოთახი რკინის ბალკონით, სამზარეულოთი და საკუჭნაოთი, კიდევ შუა სართულში 4 ოთახი—სამზარეულოთი. ყველა ოთახები ახლად შეკეთებულია შეიძლება ცალკ-ცალკეც გაქირავდეს. ადრესი 8 ნაწ. არსენალის ქუჩა № 14 იკითხეთ სახლის პატრონი.

(5—124—3)



როიალები პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები

მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.

ბ. მ. მირიმანიანისა.

МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО

Б. М. МИРИМАНІАНА

Тифлисъ, Дворцовая ул.

(25—6—14)

გამოვიდა და ისყიდება

ლედი ჯენ

ჯემსონის მოთხრობა სურათებით

სააღდგომო საჩუქრით

ვარაყიანის ყდით 1 მ.

იყიდება ჯეჯილის რედაქციაში და წერა კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

ჯეჯილის რედაქციაშივე ისყიდება 1897, 98 და 99 წლების ჯეჯილი თითო წლისა ორ მანათად.

ახალი წიგნები

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართ. წიგნის მაღაზიებში.

სოსიკო მერკვილაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნები:

სიმღერა	აკაკისა. ფასი	15 ,,
თამარ მეფის სურათი	აკაკის ლექსით	6 ,,
პატარა ჩონგური	ლექსი (დედა-ენა)	5 ,,
თამარ მეფე	მოთხრობა აკაკისა	5 ,,
ვაჭრული ჭკუა,	ლექსი აკაკისა	5 ,,
დათუნა გოცირიძე **როსტომ ერისთავი**	ძველებური ამბავი აკაკისა	5 ,,
აბრამის და იობის	ლექსი	3 ,,
ოქრუა	(ხალხური ზღაპარი)	5 ,,
ორი ქოსატყუილა **ბიჭია მენახირე** **მეფე და სკვინჩა**	ხალხური ზღაპარი.	10 ,,

ვინც მოისურვებს ამ წიგნების სყიდვას ან დაბარებას, მიმართოს ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ) არჯევანიძის სახ. **ანნა მერკვილაძის ქალთა ტანისამოსის სამკერვალო მაღაზიაში.**

ვინც თვითოეულ გამოცემას იყიდის არა ნაკლებ ერთი მანეთისა, **ყოველ მანეთზე დაეთმობა თითო აბაზი.**

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Георгіавская (Кашветская) ул., д. Аржеванидзе. № 12 модная мастерская Анны Мерквиладзе.

გამოვიდა და იყიდება ყველგან

„ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნი

ბარტეკ ძლევამოსილი

ჰენრიკ სენკევიჩისა

IV+106 გვ. ფასი 20 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომაურისა, ფასი 5 კაპ.

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოცემა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распростр. грамотности.

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეთოთხმეტე

გამოვა 1903 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორადაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავად.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს 4 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან., ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **ტფილისში**—„წერა-კით. გამ. საზოგად.“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101) და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტფილისში

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ.

ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად, დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი, მზწამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებლი ნივთეულობა, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბარატორიისათვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ, და სხვ.

ადრესი ფოსტისა და დეპეშისა: Тифлисъ Товарищество Фармацевтовъ.

(100—26)

Дозволено цензурою. Тифлисъ. 22 мая 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Діасамидзе, дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი